კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტი სკოლისა და კონკურსანტი მასწავლებლის შესახებ

მარინე გულაშვილი

სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატახტრის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ

კლასი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	IXა კლასი
აქტივობის აღწერა ***(200-1000 სიტყვა)*** - *როგორ წარმართეთ აქტივობა?* - *სამგიდო თამაშიდან რომელი მასალები გამოიყენეთ?* - *რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განახორციელეთ იდეა აქტივობისთვის?* - *რა დამატებითი მეთოდები/საშუალებები გამოიყენეთ აქტივობის მსვლელობისას?* - *რა დრო დასჭირდა ჩატარებულ აქტივობას?*	**ინტერაქტიული გაკვეთილი-თამაში „ფინანსური ასოციაციების სამყაროში“(75 წთ)** **საბაზო საფეხური** **გაკვეთილის მიზნები:** მოსწავლეები სახალისო და ინოვაციური მეთოდებით გააცნობენ თანატოლებსა და უმცროსებს ფინანსურ ტერმინებს. განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და გუნდური მუშაობის უნარები; ასევე გაუღრმავდებათ ფინანსური განათლებისადმი ინტერესი; **საჭირო მასალები:** თაბახის ფურცლები, ფერადი ფურცლები, წებოვანი ფურცლები, საპრეზენტაციო ფურცლები, კალმები, ფანქრები, მარკერები, კალათი სურსათისთვის, 2-3 პროდუქტის ცარიელი კოლოფი; **მონაწილეები:** მეცხრე კლასის მოსწავლეები, დაყოფილი **4 გუნდად** (თითო გუნდში 5-6 წევრი). **მომზადება- სტრატეგიები, აქტივობები და ეტაპები:**

	საკლასო ოთახი მოწყობილია შესაბამისად: მასალები განაწილებულია ჯგუფებში. მაგიდაზე გაშლილია სათამაშო დაფა, 4 სათამაშო პაიკი და 3-4-5 ქულიანი ბარათები; ზოგი ბარათი აქვს ჯგუფებს; დებატების გუნდის კითხვა ამობეჭდილი ან დაწერილი მსხვილი შრიფტით- რა სჯობს, ფული დაზოგო, თუ დახარჯო? რა არის უფრო მომგებიანი: ფულის დაზოგვა მომავლისთვის, თუ დახარჯვა დღევანდელი სარგებლისთვის? გამარჯვებულია გუნდი, რომელიც წინ იქნება სათამაშო დაფაზე; მასწავლებელი გუნდებს აძლევს დავალებას. ოთხივე გუნდს ექნება განსხვავებული დავალება. მოსამზადებლად ეძლევათ 20 წუთი. პრეზენტაციას(როლურ თამაშს) დაიწყებს I ჯგუფი. I ეტაპი – I ჯგუფი (მწვანე ფერი)„ფინანსური ასოციაციების თეატრი“ (25 წუთი) მოსწავლეები იღებენ ,,**ფინანსური ასოციაციობანას“ ბარათებიდან** ფინანსურ ტერმინებს, ათვალიერებენ, შეარჩევენ ერთ ტერმინს და ამ ტერმინის საფუძველზე ამზადებენ **მოკლე თეატრალურ სცენარს** (3-5 წუთიანი დადგმა). მაგალითად: • **(5-ქულიანი ბარათი ,,ინფლაცია“) –** ჯგუფი წარმოადგენს სიტუაციას, სადაც მაღაზიის ფასები უცებ იმატებს, ხოლო მოქალაქეები განიხილავენ ამ ცვლილების მიზეზებს. **სცენარი: "ინფლაციის გავლენა"** • **ლოკაცია:** სასურსათო მაღაზია • **პერსონაჟები:** • **1.ელენე** - მასწავლებელი • **2.სანდრო-** პენსიონერი • **3.დათო-** სტუდენტი • **4.ნიკოლოზი-** მაღაზიის მფლობელი

(მოქმედება იწყება მაღაზიაში. ელენე და დათო პროდუქტებს ათვალიერებენ, სანდრო კი კალათაში ცოტაოდენ პროდუქტს აწყობს.)

- **ელენე:** ვაიმე, დათო, შაქარი 6 ლარი ღირს! წინა კვირას 4 ლარი არ ღირდა?
- **დათო:** კი, ზუსტად მახსოვს. და პური? 2 ლარამდე ავიდა! ეს რა ხდება?
- **(სანდრო უახლოვდება და თავს აქნევს.)**
- **სანდრო:** შვილებო. ყველაფერი ძვირდება, ფული კი იგივე რჩება, ფასები როგორ მიცოცავს ზევით!
- **ელენე:** ფასები იზრდება და ფულის ყიდვის უნარი მცირდება, ხომ?
- **სანდრო:** დიახ, სწორედ ასე. ოღონდ მიზეზებიც ბევრია.
- **(ნიკოლოზი, მაღაზიის მფლობელი, ესაუბრება მომხმარებლებს.)**
- **ნიკოლოზი:** მართალია, ბატონო სანდრო. მაგალითად, პროდუქციის თვითღირებულება იზრდება – საწვავი, ტრანსპორტირება, იმპორტი… ეს ყველაფერი ფასებზე აისახება.
- **ელენე:** და ხელფასები იგივე რჩება. ანუ ადამიანები უფრო ნაკლებს ყიდულობენ.
- **სანდრო:** ზუსტად! ამიტომაც უნდა დავზოგოთ ფული და გავუფრთხილდეთ დანახარჯებს.
- **ელენე:** ან უნდა მოვითხოვოთ, რომ ხელფასები გაიზარდოს!
- **ნიკოლოზი:** მართალი ხარ, ელენე. მთავარია, მოქალაქეებს კარგად ესმოდეთ, რატომ ხდება ეს ცვლილებები და როგორ შეიძლება გავლენის შემცირება.
  (ყველა თანხმობის ნიშნად თავს აქნევს და საუბარს აგრძელებენ.)
- **(დასასრული.)**

ჯგუფის ლიდერი მიმართავს სხვა გუნდებს, რომ გამოიცნონ, რაზეა საუბარი, რომელ ფინანსურ ტერმინს გულისხმობენ I ჯგუფის წევრები?

პრეზენტაციისას სხვა გუნდები ცდილობენ **გამოიცნონ** წარმოდგენილი ტერმინი. თუ გამოიცნეს, დაწერენ ფურცელზე და სწორი პასუხის შემთხვევაში გუნდის შესაბამისი ფერის ფიგურა სათამაშო დაფაზე გადაინაცვლებს 5 სვლით წინ. მწვანე ფერის ფიგურაც გადაინაცვლებს ხუთი სვლით.

II ეტაპი – II ჯგუფი(შავი ფერი) „ფინანსური დებატები“ (15 წუთი)

<table>
<tr><td></td><td>
მე-2 ჯგუფი დანარჩენ ჯგუფებს უსვამს სადავო ფინანსურ საკითხს:
რა სჯობს, ფული დაზოგო, თუ დახარჯო? რა არის უფრო მომგებიანი: ფულის დაზოგვა მომავლისთვის, თუ დახარჯვა დღევანდელი სარგებლისთვის?
I, III, IV ჯგუფები ამზადებენ მოკლე გამოსვლას (არგუმენტებს) თავისი პოზიციის დასაცავად.
მსაჯებად დარჩენილი მე-2 ჯგუფის მოსწავლეები აფასებენ არგუმენტაციის სიძლიერეს და რომელი გუნდის პასუხსაც მიიჩნევენ დამაჯერებლად, ის გუნდი გადაინაცვლებს ერთი სვლით წინ. მეორე ჯგუფიც გადაინაცვლებს ერთი სვლით წინ.
III ეტაპი – III ჯგუფი(ყვითელი ფერი) „ფინანსური ასოციაციების თამაში“ (15 წუთი)
გუნდები თამაშობენ მოდიფიცირებულ ფინანსურ ასოციაციობანას.
მოდიფიკაცია:
მე-3 ჯგუფის ერთი მოსწავლე იღებს ბარათს და აღწერს ფინანსურ ტერმინს(შემდეგ სხვა მოსწავლეებიც ერთვებიან მორიგეობით):

ა) „კრედიტი “ – „ეს არის თანხა, რომელსაც იღებ და გარკვეული პერიოდის განმავლობაში აბრუნებ“)

ბ),, ბანკომატი- ეს არის ელექტრონული მოწყობილობა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ სხვადასხვა საბანკო ოპერაციები, როგორიცაა თანხის გატანა, ბალანსის შემოწმება, თანხის შეტანა, გადარიცხვები და სხვა, ბანკის თანამშრომლის ჩარევის გარეშე.
</td></tr>
</table>

	გ)ფიშინგი- ეს არის კიბერდანაშაულის ფორმა, რომლის მიზანიც არის მომხმარებლის პერსონალური ინფორმაციის მოპარვა, როგორიცაა პაროლები, საბანკო ბარათების მონაცემები, ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელების ანგარიშები. დ)ყულაბა- ეს არის სპეციალური კონტეინერი, რომელიც გამოიყენება თანხის დაზოგვისთვის. ტრადიციულად, ის შეიძლება დამზადებული იყოს კერამიკის, მეტალის ან პლასტმასისგან ე)ბონუსი-ეს არის დამატებითი წახალისება, რომელიც შეიძლება იყოს ფულადი თუ არამატერიალური და გაიცემა კონკრეტული მიღწევებისთვის, განსაკუთრებული დამსახურებისთვის ან როგორც მოტივაციის საშუალება. ვ)დეპოზიტი- არის თანხა, რომელიც პირი ან ორგანიზაცია ანდობს ბანკს ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ხშირად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით. სხვა გუნდებმა უნდა გამოიცნონ, რომელი ტერმინია, დაწერონ ფურცელზე სწორი პასუხი. 1 წუთის ამოწურვის შემდეგ სწორი პასუხის შემთხვევაში იღებენ ქულას. IV ეტაპი – IV ჯგუფი(წითელი ფერი) „ფინანსური ექსპერტების კლუბი“ (15 წუთი, შემაჯამებელი ნაწილი) • მე-4 გუნდი **ქმნის პატარა ფინანსურ რეკომენდაციას** სკოლის მე-7 და მე-8 კლასელებისთვის (მაგალითად, 1. **როგორ დაზოგონ ფული და 2. როგორ მართონ ბიუჯეტი**). მოსწავლეები განიხილავენ, რა ისწავლეს აქტივობების განმავლობაში;(5 წუთი)

კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	**შეფასების კრიტერიუმები:** 1. აქტიური მონაწილეობა და შემოქმედებითი მიდგომა. 2. სწორი ტერმინოლოგიის გამოყენება და ფინანსური საკითხების ანალიზი. 3. გუნდური მუშაობა და ინოვაციური იდეები. **მოსალოდნელი შედეგები:** ✓ მოსწავლეები თამაშით და ინტერაქტიული დავალებებით ისწავლიან ფინანსურ ტერმინებს. ✓ განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნება და პრეზენტაციის უნარები. ✓ ფინანსური განათლება მათთვის მარტივ და საინტერესო გამოცდილებად იქცევა.
ვიზუალური მასალა *(სავალდებულო წესით არ მოითხოვება და აღნიშნულით არ მოხდება შეფასება)*	წარმოდგენილია ვიდეომასალა